განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ

პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გიორგი ეზუგბაია, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

წევრები:

ნინო ცუხიშვილი, ააიპ - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი
2019

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება	საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი	206350312

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება
საათების რაოდენობა	24 საათი
სწავლების მეთოდი/ ფორმა	☐ელექტრონული კურსი ☒საკლასო მეცადინეობა
პროგრამის სტატუსი (ახალი/აკრედიტებული)	ახალი

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების პროგრამა შედგენილია საქართველოს მთავრობის 2018 წლის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ (შემდგომში - №242 დადგენილება) შესაბამისად და მიზნად ისახავს დასახული კომპეტენციების განვითარებას მსმენელებისათვის. პროგრამა შედგება 4 საგნისგან და ორიენტირებულია III და IV რანგის პროფესიული საჯარო მოხელისათვის აუცილებელი პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე.

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაეცნენ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციას.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 22 ოქტომბერს 10:00 საათიდან წინასწარ შედგენილი ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრებები პროგრამის შემუშავებისა და განვითარების სამუშაო ჯგუფის წევრებთან, სერტიფიცირებისა და ტრენინგების განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან, ფინანსურ მენეჯერთან და იურიდიული საკითხების კოორდინატორთან, ტრენერებთან. ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (აუდიტორიები და სხვ.) დათვალიერება.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

სააკრედიტაციო განაცხადის ფარგლებში წარმოდგენილი და ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ასევე მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები.

- რეკომენდაციები:
  - *მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის გამოქვეყნება იმგვარად უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული პირისათვის ინფორმაცია ნებისმიერ დროს ადვილად ხელმისაწვდომი და მოძიებადი იყოს;*
  - *მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი დაექვემდებაროს ერთიან სტანდარტს და გამოირიცხოს სხვადასხვა მეთოდებითა და სასწავლო პროგრამის შინაარსით ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის;*
  - *მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამაში თითოეული საკითხის სწავლების მეთოდი მიეთითოს;*
  - *პრაქტიკული სავარჯიშოების შემუშავებისა და ინსტიტუტთან შეთანხმების შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის გეგმაში მიეთითოს პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დროის ჯამური ოდენობის შესახებ კორექტირებული მონაცემები და აისახოს სილაბუსებში;*
  - *მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა განსაზღვროს პროგრამის განხორციელებისას სასწავლო მასალის მიწოდების ერთიანი სტანდარტი;*
  - *მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის გეგმაში თითოეულ საკითხთან მიმართებით მიეთითოს სწავლების მეთოდი;*
  - *მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეიცვალოს შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა უკუკავშირის ფორმაში შეფასების თითოეული კომპონენტი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი;*
  - *მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სასწავლო პროგრამის სამუშაო საათებში შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად;*
  - *მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეიცვალოს შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა შეფასების ფორმაში ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით უკუკავშირი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი.*

- რჩევები:
  - პროგრამის დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობისა და ერთიანი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ ინტიტუტმა ტრენინგების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების

პროგრამების შემუშავების საკუთარი ხედვა და მეთოდოლოგიურ მითითებები ჩამოაყალიბოს, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში;

- ფართო თანამონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ ინსტიტუტმა გამართოს კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები სხვა დაინტერესებული პირებთან პროფესიული პროგრამის განვითარების პროცესში;
- სასურველია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში ნათლად იკვეთებოდეს საჯარო მოხელეებისთვის რელევანტური საკითხების სწავლება (საკითხები მიწოდებული იქნას მსმენელებისთვის საჯარო სამსახურის ჭრილში) და სასწავლო პროგრამის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, გამოირიცხოს საჯარო სამსახურისთვის არარელევანტური თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება;
- სასურველია, რომ სწავლის შედეგების რუკაში დაკონკრეტდეს თითოეული საგნის ცალკეული საკითხების ურთიერთმიმართება შესაბამის კომპეტენციებთან და თითოეულ საგანთან მიმართებით რუკა ჩამოყალიბდეს ისე, რომ სხვა საგნების მიერ გამოსამუშავებელი კომპეტენციები არ იყოს მხედველობაში მიღებული;
- სასურველია, რომ სასწავლო პროგრამის იმპლემენტაციის დაწყებამდე შემუშავდეს და ინსტიტუტთან შეთანხმდეს სასწავლო მასალა, მათ შორის, სახელმძღვანელოები, სავარჯიშოები და, საჭიროების შემთხვევაში, Power-point-ის პრეზენტაციები;
- სასურველია, რომ ტრენერებმა ჩამოაყალიბონ ერთიანი ხედვა პრე-პოსტ ტესტის ერთგვაროვან შინაარსთან დაკავშირებით;
- სასურველია, რომ ტრენერებმა იმსჯელონ საბოლოო გამოცდაში შეფასების სხვა ფორმების დანერგვის საჭიროებაზე;
- სასურველია, რომ ინსტიტუტმა უზრუნველყოს საბოლოო გამოცდაში მიღებული შედეგების ანალიზი და გამოყენოს პროგრამის გასაუმჯობესებლად;
- სასურველია, რომ საბოლოო გამოცდისას განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თითოეულ საგანთან მიმართებით;
- ტრენერთა შერჩევის დროს ინსტიტუტმა უზრუნველყოს ტრენერთა მხრიდან შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი ცნობების წარმოდგენა და ტრენერთა შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტად მხოლოდ რეზიუმეში არსებული ჩანაწერები არ იყოს მიჩნეული;
- სასურველია, რომ ფორსმაჟორული გარემოებების (ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა) წარმოქმნის შემთხვევაში, ტრენინგების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ინსტიტუტმა შემცველელი ტრენერის რანგში მოიძიოს შესაბამისი კვალიფიკაციის სხვა პირები;
- სასურველია, რომ ტრენერის რეზიუმე წარმოდგენილი იყოს სახელმწიფო ენაზე;
- სასურველია, რომ ტრენერებთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებებში მითითებული იყოს ტრენერის ანაზღაურება;
- სასურველია, რომ პროგრამის სილაბუსებსა და ბიუჯეტში მოცემული მსმენელთა რაოდენობა შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი	☐	☒	☐
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. გიორგი ეზუგბაია (თავმჯდომარე)
2. ნინო ცუხიშვილი (წევრი)

ნ. ცუხიშვილი

1. პროგრამის შინაარსი

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით (შემდგომში – დადგენილება) განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამის სტრუქტურა, მისი კომპონენტები, სწავლის მეთოდები და შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1. პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებულია დაწესებულებაში არსებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტს (შემდგომში - ინსტიტუტი) დამტკიცებული აქვს ტრენინგების/სერტიფიცირების დაგეგმვისა და განვითარების პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს: ა) ტრენინგებისა და სერტიფიცირების პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების წესს; ბ) ტრენინგების ძირითად მიმართულებებს, როგორც საჯარო აუდიტის სამსახურის თანამშრომლების, ასევე კომერციული მიზნებისათვის; გ) ტრენინგების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას; დ) ტრენერების მოძიების წესს; ე) ტრენინგის გამოცხადების, რეგისტრაციისაა და სასწავლო პროცესის ორგანიზებას; ვ) ტრენინგის მონაწილეთა აღრიცხვის წესსა და ტრენინგის ხარისხის კონტროლს; ზ) მონაწილის შეფასებისა და სერთიფიკატის გაცემის წესს; თ) შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას. ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული ტრენინგებისა დაგეგმვისა და განვითარების პროცედურა ერთ-ერთ მიმართულებად გამოყოფს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის დაგეგმვის საკითხს (8.4), რომლის თანახმად „საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სასწავლო კურსი იგეგმება და ხორციელდება შიდა პროცედურებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად." პროცედურა არ მოიცავს საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სასწავლო კურსის შემუშავებისათვის დამატებით მეთოდოლოგიურ მითითებებსა და რეკომენდაციებს, რაც აღნიშნულ პროგრამას, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, სხვა პროგრამების შემუშავების წესისა და პროცესისგან შეიძლება განასხვავებდეს. პროგრამა დამტკიცებულია საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორის 2019 წლის 17 სექტემბრის N000000692 ბრძანებით. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის შემუშავება განხორციელდა ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული ტრენინგების დაგეგმვისა და განვითარების ზოგადი პროცედურის შესაბამისად. ინტერვიუების პროცესში,

ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავებისათვის, ინსტიტუტის მიერ ტრენინგებისა დაგეგმვისა და განვითარების პროცედურის დოკუმენტში ამ ეტაპზე საჭიროდ არ მიიჩნიეს სპეციალური წესების ან განსხვავებული მეთოდოლოგიის განსაზღვრა, რადგან პროგრამის შემუშავების ძირითადი მოთხოვნები მოცემული იყო საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებაში. თუმცა, მათი განმარტებით, პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ, შესაძლოა მომავალში უზრუნველყონ სპეციფიკური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება.

აღნიშნულის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილება საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებისას ძირითად საკითხებთან დაკავშირებით (მათ შორის: საგნებისა და კომპეტენციების ურთიერთმიმართება, პროგრამის განხორციელების მეთოდები და ფორმები, პროგრამის ხანგრძლივობა, პროგრამისა და სწავლის შეფასების შედეგები და ა. შ.) საჯარო დაწესებულებებს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს. შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამის პროცესის დაგეგმვის ეფექტურობისა და ერთიანი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა ინსტიტუტმა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიაში საკუთარი ხედვა განსაზღვროს.

ინდიკატორები:

- *პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;*
- *პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია - ინსტიტუტის ტრენინგების შემუშავებისა და განვითარების პროცედურა (დანართი N1);*
- *ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული პროგრამა (დანართი N6);*
- *ინტერვიუს შედეგები.*

რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობისა და ერთიანი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ ინტიტუტმა ტრენინგების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების საკუთარი ხედვა და მეთოდოლოგიურ მითითებები ჩამოაყალიბოს, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o პროგრამა ახალია
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის შემუშავება/განვითარება თანამონაწილეობითი პროცესია, რომელშიც უზრუნველყოფილია დაინტერესებულ პირთა ჩართულობა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემუშავება განხორციელდა ინსტიტუტის პერსონალისა და პროგრამაში ჩართული ტრენერების მიერ. პროგრამის შემუშავების პროცესში, ინსტიტუტის მიერ სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას სისტემური და ფორმალიზებული სახე არ ჰქონია. ინტერვიუების პროცესში, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა მიუთითეს, რომ პროგრამის შემუშავების მიზნებისათვის სხვა დაინტერესებულ პირებთან სამუშაო შეხვედრები არ ჰქონიათ, გარდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადამიანური რესურსების ერთეულის წარმომადგენლებისა. მათი განმარტებით, პროგრამის საჭიროებების შესახებ ინფორმაცია საჯარო მოხელეთა პროფესიული გადამზადების თაობაზე გამართული სხვადასხვა სახის საჯარო შეხვედრებიდან მიიღეს, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებიდან მათთვის ცნობილია საჯარო დაწესებულებებში ამ მიმართულებით არსებული პრობლემები და საჭიროებები. პროგრამის შემუშავების მიზნით, საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ტრენინგ პროგრამის შემუშავებისა და განვითარების სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ აუდიტის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, ფინანსური მენეჯერი და ტრენერები. პროგრამის შემუშავების პროცესში, სამუშაო ჯგუფი ორჯერ შეხვდა. პირველ შეხვედრაზე, ტრენერები გაეცნენ პროგრამისა და თითოეული მოდულის სილაბუსის შემუშავების სტანდარტებს; განიხილეს საგნის თემები და ქვეთემები; იმსჯელეს თითოეულ მოდულთან მიმართებით თემატური გადაფარვების

შესახებ და შეთანხმდნენ პროგრამის შეფასების სისტემის თაობაზე. ხოლო, მეორე შეხვედრაზე, ტრენერებმა წარმოადგინეს მათ მიერ მომზადებული სილაბუსები, განიხილეს თემატური გადაფარვები და შეჯერდნენ პროგრამის საბოლოო სახეზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინსტიტუტის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სასურველი იყო, რომ პროგრამის შემუშავების პროცესს მეტად თანამონაწილეობითი ხასიათი ჰქონოდა, დაინტერესებული პირების სხვადასხვა სეგმენტის ჩართულობითა და პირთა ფართო წრის მონაწილეობით. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ინსტიტუტის თანამშრომლები და პროგრამის ტრენერები პროგრამის უშუალო წარმომადგენლები არიან და მათი მონაწილეობა პროგრამის შემუშავებით დაინტერესებულ პირთა ფართო წარმომადგენლობას ვერ უზრუნველყოფს. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო მოხელეთა პროფესიული პროგრამის განვითარება გრძელვადიანი პროცესია, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია, ინსტიტუტმა მომავალში სხვა დაინტერესებული პირებთან გამართოს კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები ფართო ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
ინდიკატორები: ○ *საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორის ბრძანება სასწავლო კურსების შემუშავებისა და განვითარების სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ (დანართი N3);* ○ *ტრენინგ პროგრამების შემუშავებისა და განვითარების სამუშაო ჯგუფის 2019 წლის 2 სექტემბრის სხდომის ოქმი (დანართი N2);* ○ *საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორის ბრძანება პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება“ დამტკიცების შესახებ (დანართი N5);* ○ *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები: ○ არ საჭიროებს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ ფართო თანამონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ ინსტიტუტმა კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები გამართოს სხვა დაინტერესებული პირებთან პროფესიული პროგრამის განვითარების პროცესში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o პროგრამა ახალია
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე, www.sia.ge. თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია სიახლეების გრაფაში არის განთავსებული, კერძოდ, ინსტიტუტის მიერ აკრედიტაციის მაძიებლის სტატუსის მოპოვების თაობაზე 2019 წლის 3 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებაზე დანართის სახით არის მიბმული. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის სიახლეების გრაფაში განთავსება მის მოძიებას ართულებს და ვებ-გვერდზე სიახლეების დამატების შემდეგ დაინტერესებული პირებისათვის აღარ იქნება ხილვადი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება ვებ-გვერდზე ადვილად ხელმისაწვდომ და სტატიკურ გრაფაში უზრუნველყოს, რომლის მოძიება ნებისმიერ დროს მარტივად იქნება შესაძლებელი.
ინდიკატორები: o *დაწესებულების ვებ-გვერდი (www.sai.ge);* o *პროგრამებისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია (ინსტიტუტის ტრენინგების შემუშავებისა და განვითარების პროცედურა 8.7, დანართი N1);* o *პროგრამის შეფასების გეგმა (დანართი N6);* o *სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (დანართი N6).*
რეკომენდაციები: o *მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის გამოქვეყნება იმგვარად უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული*

პირისათვის ინფორმაცია ნებისმიერ დროს ადვილად ხელმისაწვდომი და მოძიებადი იყოს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არ საჭიროებს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o პროგრამა ახალია
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური; პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამა მოიცავს ინფორმაციას პროგრამის სახელწოდების, საკონტაქტო საათების რაოდენობის, პროგრამის მიზნის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, მიზნობრივი ჯგუფის, სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების, სწავლის მეთოდების, სასწავლო კურსის შეფასების სისტემის, მონაწილის შეფასების წესის, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებისა და სასწავლო გეგმის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეფასებით პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსები და პროგრამის განხორციელების გეგმა. პროგრამასა და სილაბუსში ზოგადადაა ჩამოთვლილი ის მეთოდები, რომელთაც გამოიყენებენ ტრენერები ტრენინგების დროს. სილაბუსსა და პროგრამის განხორციელების გეგმაში სტრუქტურულად არის მითითებული რომელი

საკითხებისგან შედგება თითოეული საგანი. პროგრამის განხორციელების გეგმაში მითითებულია თითოეულ საკითხს რამდენი წუთი ეთმობა, ხოლო სილაბუსში ჯამურადაა მითითებული ინფორმაცია თითოეულ სესიაზე თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილი დროის შესახებ. ტრენინგის განხორციელების გეგმაში არ არის მითითებული სწავლების მეთოდი (თეორიული ან პრაქტიკული), გარდა ადმინისტრაციული წარმოების საკითხებისა, თუმცა ამ უკანასკნელშიც თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დროის ჯამი არ ემთხვევა სილაბუსში არსებულ მონაცემებს.

ექსპერტთა ჯგუფისთვის ბუნდოვანი დარჩა თითოეული საკითხის სწავლების მეთოდი, გარდა ადმინისტრაციული წარმოებისა. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკული სავარჯიშოების სასწავლო მასალა ჯერ არ არის შემუშავებული და ინსტიტუტთან შეთანხმებული (დეტალურად იხილეთ პუნქტი 1.7), გაურკვეველია თუ რის საფუძველზე განისაზღვრა სილაბუსებში თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დროის ოდენობა.

ინტერვიუს დროს ერთ-ერთი ტრენერის მხრიდან დაფიქსირებული იყო მოსაზრება, რომ ყოველ კონკრეტულ ჯგუფთან მიმართებით მოხდება სასწავლო პროგრამის შინაარსის ცვლილება (მათ შორის, თეორიული მასალისა და პრაქტიკული სავარჯიშოების), მაგალითად, იურისტებისგან დაკომპლექტებულ ჯგუფს არ მიეწოდება ინფორმაცია საბაზისო სამართლებრივი საკითხების შესახებ და აქცენტი გაკეთდება პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ხოლო არა იურისტების შემთხვევაში - აქცენტი გაკეთდება საბაზისო სამართლებრივ საკითხებზე. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მსმენელთა პროფესიების გათვალისწინებით სასწავლო მასალის ცვლილება გაართულებს ერთიანი სტანდარტის ქვეშ სასწავლო პროგრამების განხორციელებას და შეიძლება საფრთხე შეუქმნას მსმენელთა მიერ დადგენილებით განსაზღვრული კომპეტენციების შეძენას.

ინტერვიუს დროს ექსპერტთა შეკითხვაზე, თუ რას დაეყრდნენ ტრენერები სასწავლო პროგრამის სტრუქტურის შექმნისას, ტრენერების მიერ აღინიშნა, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა ტრენერების მიერ კერძო სექტორში წარსულში ჩატარებული ტრენინგებისა და დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ზოგიერთ საგანთან დაკავშირებით შესაძლებელია სასწავლო პროგრამა ნაკლებად იყოს რელევანტური საჯარო მოხელეებისთვის და მოიცავდეს კერძო

სექტორის საჭიროებებზე მორგებულ თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს.
ინდიკატორები: ○ *ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული პროგრამა (დანართი N6);* ○ *სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი N7);* ○ *პროგრამის განხორციელების გეგმა (დანართი N8).*
რეკომენდაციები: ○ *მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი დაექვემდებაროს ერთიან სტანდარტს და გამოირიცხოს სხვადასხვა მეთოდებითა და სასწავლო პროგრამის შინაარსით ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის;* ○ *მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამაში თითოეული საკითხის სწავლების მეთოდი მიეთითოს;* ○ *პრაქტიკული სავარჯიშოების შემუშავებისა და ინსტიტუტთან შეთანხმების შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის გეგმაში მიეთითოს პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დროის ჯამური ოდენობის შესახებ კორექტირებული მონაცემები და აისახოს სილაბუსებში.*
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში ნათლად იკვეთებოდეს საჯარო მოხელეებისთვის რელევანტური საკითხების სწავლება (საკითხები მიწოდებული იქნას მსმენელებისთვის საჯარო სამსახურის ჭრილში) და სასწავლო პროგრამის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, გამოირიცხოს საჯარო სამსახურისთვის არარელევანტური თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამა ახალია
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5. პროგრამის კომპონენტები უკავშირდება დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციების შეძენას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს მსმენელთათვის 4 საგნის სწავლებას. სასწავლო პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სადაც აღნიშნულია, თუ რომელი საგანი უწყობს ხელს შესაბამისი კომპეტენციების შეძენას. რუკაში არ არის მითითებული თითოეული საგნის რომელი საკითხი უწყობს ხელს შესაბამისი კომპეტენციის განვითარებას. ინტერვიუს დროს, ტრენერებმა აღნიშნეს, რომ თითოეული საკითხიდან გამომდინარე განსაზღვრეს, თუ რომელი საკითხი რომელი კომპეტენციის განვითარებას უწყობდა ხელს. საბოლოოდ კი, ერთმანეთთან შეაჯერეს კომპეტენციების საკითხი და რუკა იმგვარად ჩამოაყალიბეს, რომ „გადაფარვები" არ ყოფილიყო. ექსპერტთა ჯგუფისთვის ბუნდოვანი დარჩა სხვადასხვა საგნის მიერ ერთი და იმავე კომპეტენციების განვითარების პრობლემურად მიჩნევის საკითხი და კომპეტენციების განსაზღვრის პროცესმა დატოვა შთაბეჭდილება, რომ რუკა შეიძლება სრულად ვერ ასახავდეს სასწავლო პროგრამის მიერ სხვადასხვა კომპეტენციების შეძენის შესაძლებლობას.
ინდიკატორები: ○ *ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული პროგრამა (დანართი N9);* ○ *პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა - პროგრამის განხორციელების გეგმა (დანართი N8);* ○ *სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი N7);* ○ *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები: ○ არ საჭიროებს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში ნათლად იკვეთებოდეს საჯარო მოხელეებისთვის რელევანტური საკითხების სწავლება (საკითხები მიწოდებული იქნას მსმენელებისთვის საჯარო სამსახურის ჭრილში) და სასწავლო პროგრამის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, გამოირიცხოს საჯარო სამსახურისთვის არარელევანტური თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება; ○ სასურველია, რომ სწავლის შედეგების რუკაში დაკონკრეტდეს თითოეული საგნის

ცალკეული საკითხების ურთიერთმიმართება შესაბამის კომპეტენციებთან და თითოეულ საგანთან მიმართებით რუკა ჩამოყალიბდეს ისე, რომ სხვა საგნების მიერ გამოსამუშავებელი კომპეტენციები არ იყოს მხედველობაში მიღებული.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o პროგრამა ახალია
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.6. პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნასთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროგრამა შედგება 4 საგნისგან, კერძოდ: ▪ ადმინისტრაციული წარმოება (6 საათი); ▪ ეთიკა საჯარო სამსახურში (6 საათი); ▪ პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა (5,5 საათი); ▪ ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა (5,5 საათი). საბოლოო გამოცდას ეთმობა 1 საათი. სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა (ჯამში 24 საათი) შეესაბამება საქართველოს მთავრობის №242 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნას.
ინდიკატორები: ○ *სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი N7);* ○ *ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული პროგრამა (დანართი N6);* ○ *პროგრამის დამტკიცების ბრძანება (დანართი N5);*

○ *პროგრამის განხორციელების გეგმა (დანართი N8).*
რეკომენდაციები: ○ არ საჭიროებს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ საჭიროებს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამა ახალია
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.7. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა და პროგრამის განხორციელების გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას: ა) სასწავლო მასალა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიხედვით რელევანტური მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს; ბ)პროგრამის განხორციელების გეგმა შეიცავს ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ის, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების გეგმა, სასწავლო კურსების სილაბუსები და სასწავლო მასალა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო მასალა არ არის შემუშავებული ერთიანი სტანდარტით, კერძოდ, ზოგ შემთხვევაში სასწავლო მასალა წარმოდგენილია სახელმძღვანელოს სახით, ზოგ შემთხვევაში - Powerpoint-ის პრეზენტაციის სახით, ხოლო ზოგ შემთხვევაში - სასწავლო მასალა რეალურად წარმოადგენს ტრენერის სამოქმედო გეგმას, თუ რა კომპონენტებისა და მეთოდების მიხედვით მოხდება სწავლება, მათ შორის,

სავარჯიშოების შინაარსისა და ამ სავარჯიშოების შესრულებაზე გამოყოფილი დროის მითითებით.

ინტერვიუს დროს ტრენერებმა აღნიშნეს, რომ სავარჯიშოებსა და Powerpoint-ის პრეზენტაციებზე მუშაობა არ არის დასრულებული და ამ ეტაპზე შემუშავების ეტაპზეა, შესაბამისად, არ არის მათი შინაარსი შეთანხმებული ინსტიტუტთან. ამასთან, ტრენერებს არ აქვთ გადაწყვეტილი რომელ საკითხებთან დაკავშირებით გამოიყენებენ Powerpoint-ის პრეზენტაციებს და აქვთ აზრთა სხვადასხვაობა მისი გამოყენების მიზანშეწონილობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, რომ დროულად დასრულდეს სავარჯიშოების შემუშავებაზე მუშაობა, ასევე სასწავლო მასალა დაექვემდებაროს ერთიან სტანდარტებს, კერძოდ, გაიმიჯნოს, თუ რა ტიპის ინფორმაცია უნდა ეწეროს მსმენელის სახელმძღვანელოში და გაიმიჯნოს ტრენერის სამოქმედო გეგმისგან, განისაზღვროს რომელ საკითხთან დაკავშირებით იქნება გამოყენებული Powerpoint-ის პრეზენტაციები და დროულად შემუშავდეს ისინი, ასევე დროულად შემუშავდეს სავარჯიშოები.

პროგრამის განხორციელების გეგმა, როგორც აღინიშნა 1.4 პუნქტში, არ შეიცავს ინფორმაციას სწავლების მეთოდების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებსა და სასწავლო პროგრამაში გვხვდება ზოგადი ჩამონათვალი გამოსაყენებელი სწავლების მეთოდების შესახებ, აღნიშნული არ გვხვდება სასწავლო პროგრამის გეგმაში.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის გეგმაში თითოეულ საკითხთან მიმართებით მიეთითოს სწავლების მეთოდი.

ინდიკატორები:

- *პროგრამის განხორციელების გეგმა (დანართი N8);*
- *სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი N7);*
- *პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა (დანართი N9);*
- *ინტერვიუს შედეგები.*

რეკომენდაციები:

- *მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა განსაზღვროს პროგრამის განხორციელებისას სასწავლო მასალის მიწოდების ერთიანი სტანდარტი;*
- *მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის გეგმაში თითოეულ საკითხთან მიმართებით*

მიეთითოს სწავლების მეთოდი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o სასურველია, რომ სასწავლო პროგრამის იმპლემენტაციის დაწყებამდე შემუშავდეს და ინსტიტუტთან შეთანხმდეს სასწავლო მასალა, მათ შორის, სახელმძღვანელოები, სავარჯიშოები და, საჭიროების შემთხვევაში, Power-point-ის პრეზენტაციები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o პროგრამა ახალია
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.8. პროგრამა ითვალისწინებს მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას, ხოლო უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინსტიტუტის შიდა პროცედურით განსაზღვრულია პროგრამის შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც გამოყენებულია პროგრამის შემუშავების პროცესში. ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული პროგრამა ითვალისწინებს მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას უკუკავშირის კითხვარის მეშვეობით, ხოლო უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის. პროგრამის თანახმად, თითოეული სასწავლო კურსი ფასდება ინდივიდუალურად და პროგრამისთვის გამოდის საშუალო მაჩვენებელი. პროგრამით განსაზღვრულია, რომ უკუკავშირის ფორმა უნდა მოიცავდეს შემდეგი კომპონენტების შეფასებას: ტრენერის შეფასება, ტრენინგის გარემოს შეფასება, ტრენინგის პროცესის შეფასება, ტრენინგის შინაარსის შეფასება, ტრენინგის შედეგის შეფასება და ზოგადი კმაყოფილება. ტრენინგის შეფასების კითხვარი თითოეულ კომპონენტს აფასებს 0-დან 10 ქულამდე შკალით, რომლის მიხედვითაც გამოითვლება NPS-მაჩვენებელი. ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ტრენინგის შეფასების ფორმა

(უკუკავშირის კითხვარი) სამი ნაწილისგან შედგება: სასწავლო კურსის შეფასება, ტრენინგის ორგანიზების/სერვისის მიწოდების შეფასება და ტრენერის შეფასება. ტრენინგის შეფასების ფორმას ასევე აქვს დამატებითი გრაფა მსმენელთა ზოგადი რეკომენდაციების მისაწოდებლად.

პროგრამაში წარმოდგენილი შეფასების მეთოდოლოგიისა და შეფასების ფორმის (უკუკავშირის კითხვარი) შინაარსის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შეფასების ფორმა შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი კომპონენტების მიხედვით არ არის სტრუქტურირებული და არ მოიცავს შეფასების ყველა კომპონენტს. ტრენინგის შეფასების ფორმაში მოცემულია სულ 13 კითხვა, რომელთა სხვადასხვა კომპონენტებზე გადანაწილების მეთოდოლოგია არ არის ნათელი, რადგან ზოგ კომპონენტთან მიმართებით რამდენიმე შეკითხვაა დასმული (მაგ: ტრენერების შეფასება), ხოლო ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ერთი (ტრენინგის გარემო) ან არც ერთი შეკითხვა (მაგ: ტრენინგის შედეგის შეფასება). ასევე, შეფასების ფორმის თითოეულ ნაწილში მოცემული ზოგი შეკითხა თავის შინაარსით არ მიეკუთვნება იმ ნაწილს, სადაც არის წარმოდგენილი (მაგ: „ტრენინგის მასალების მიწოდება ხორციელდებოდა დროულად", „ტრენინგისთვის გამოყოფილი დრო იყო საკმარისი" მოცემულია სასწავლო კურსის გრაფაში, როდესაც თავის შინაარსით მიეკუთვნება ტრენინგის ორგანიზების/სერვისის მიწოდების შეფასების ნაწილს). ასევე, შეფასების ფორმა ითვალისწინებს რამდენიმე ზოგადი ხასიათის შეკითხვას, რომელიც პროგრამას არ აძლევს კონკრეტულ ინფორმაციას ამა თუ იმ კომპონენტის მიხედვით მსმენელთა კმაყოფილების თაობაზე (მაგ: საერთო ჯამში როგორ შეაფასებდით ტრენინგს? როგორ იყო ტრენინგი ორგანიზებული?). ამასთანავე, შეფასების ფორმაში წარმოდგენილი კითხვები არაერთგვაროვნად (ზოგ შემთხვევაში შეკითხვის, ხოლო ზოგ შემთხვევაში მტკიცებით ფორმით) არის ჩამოყალიბებული, რამაც მსმენელს მათი შეფასების შკალაზე განლაგება შეიძლება გაურთულოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა საჭიროებს მოდიფიცირებას შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა თითოეული კომპონენტი უკუკავშირის ფორმაში სათანადოდ იყოს წარმოდგენილი.

პროგრამის მიხედვით, მსმენელთა შეფასების ფორმები მუშავდება და მათი შედეგების გამოყენება ხდება პროგრამის გასაუმჯობესებლად. უკუკავშირის კითხვარში ნებისმიერი კომპონენტის დამაკმაყოფილებელი და წარუმატებელი შედეგის დადგომისას ხდება

შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, ინსტიტუტს პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია ტრენინგის შეფასების ანალიზის კუთხით, რაც გულისხმობს უკუკავშირის შედეგების ანალიზს და ტრენერთან ინტერვიუს დანიშვნას წარუმატებელი კომპონენტების განსახილველად. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულის წარმატებულ მაგალითად მითითებულია ინსტიტუტის სერტიფიცირების პროგრამის ეფექტიანობის აუდიტის მოდული, სადაც ტრენერებთან ერთად დაგეგმილი გაუმჯობესების ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვანი პროგრესი მიიღეს. ინსტიტუტში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ინსტიტუტის მიერ ზემოაღნიშნული სერტიფიცირების პროგრამისას ჩატარებული ტრენინგების უკუკავშირის ანალიზის ფორმებს, რის მიხედვითაც დარწმუნდა ინსტიტუტის მიერ ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებების სისრულეში. გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში, ტრენერებმა ასევე გამოთქვეს მზაობა უკუკავშირის შედეგების მიხედვით ტრენინგის პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ტრენერებმა ასევე მიუთითეს, რომ უკუკავშირის ფორმა, თავის მხრივ შესაძლებელია რომ გაუმჯობესდეს და უფრო მეტი ინფორმაცია მოიცვას.
ინდიკატორები: ○ *ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული პროგრამა - მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასების ფორმები, შეფასების შედეგები და სამიზნე ნიშნულები (დანართი N6);* ○ *უკუკავშირის კითხვარი (დანართი N11);* ○ *ტრენინგის შეფასების ფორმა - 2019 წლის სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში;* ○ *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები: ○ *მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეიცვალოს შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა უკუკავშირის ფორმაში შეფასების თითოეული კომპონენტი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი.*
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არ საჭიროებს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o პროგრამა ახალია.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.9. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს: ა) სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ შედგენილი შეფასების გეგმის მიხედვით; ბ) პროგრამით გათვალისწინებულია შეფასების ადეკვატური ფორმები და მეთოდები, რომელიც მსმენელის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა; გ) სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თანახმად, თითოეული მოდულის შემთხვევაში სწავლის შედეგები ფასდება პრე-პოსტ ტესტით, რომელიც ტრენინგის მონაწილეთა ცოდნის პროგრესს პროგრამის თითოეული კომპონენტის ჭრილში ზომავს. პრე-პოსტ ტესტი 10-12 კითხვისგან შედგება და მის შესავსებად განსაზღვრულია 15 წუთი. იგი აფასებს მონაწილეების ცოდნის დონეს ტრენინგის დაწყებისას და დასრულებისას. პრე-პოსტ ტესტის პროგრესი აჩვენებს ჯგუფის პროგრესს მინიმუმ 3 ერთეულით (30%). პრე-პოსტ ტესტში სამიზნე მაჩვენებელზე ნაკლები პროგრესის შემთხვევაში, ტრენერთან ერთად ხდება კურსის შინაარსისა და სწავლების მეთოდების გაანალიზება და მოდიფიცირება. ინსტიტუტს წარმოდგენილი აქვს პრე-პოსტ ტესტების ბაზა თითოეულ მოდულთან მიმართებით. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლის შედეგების პრე-პოსტ ტესტის საფუძველზე შეფასება შესაბამისობაშია სტანდარტთან. თუმცა, ტრენერებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ტრენერებს არ აქვთ ერთგვაროვანი წარმოდგენა პრე-პოსტ ტესტის შინაარსთან დაკავშირებით. ტრენერთა

უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პრე-პოსტ ტესტი უნდა შეიცავდეს იდენტურ კითხვებს, ხოლო ერთი ტრენერის მოსაზრებით, პრე-პოსტ ტესტის კითხვები შეიძლება იყოს განსხვავებული და პოსტ-ტესტი იყოს უფრო რთული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ტრენერებმა ჩამოაყალიბონ ერთიანი ხედვა პრე-პოსტ ტესტის ერთგვაროვან შინაარსთან დაკავშირებით.

პროგრამით ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლის მიხედვით საბოლოო გამოცდა ტარდება ტესტის ფორმატში. ტესტი შედგება 40 დახურული კითხვისგან (თითო საგანში 10 კითხვა). თითოეულს აქვს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის მაქსიმალური ქულაა 40. დასკვნითი შეფასება ტარდება კურსის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში და გრძელდება 1 საათის განმავლობაში. მონაწილეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში გადააბაროს გამოცდა. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში, ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საბოლოო გამოცდის ტესტები მოგვიანებით იქნება მომზადებული, ასევე მიუთითეს, რომ საბოლოო გამოცდა ელექტრონულად ჩატარდება. გარდა ამისა, ინტერვიუს პროცესში, ტრენერებმა აღნიშნეს, რომ ტესტები სრულყოფილად ვერ ზომავს მათი სასწავლო მოდულის მიზნების მიღწევას და შესაძლებელია, საბოლოო გამოცდაში განიხილონ ღია კითხვების ან მცირე კაზუსების დამატების საკითხი, თუმცა ამავდროულად მიუთითეს, რომ ტესტებით შეფასება პროგრამის ადმინისტრირების მხრივ მეტად მოსახერხებელია.

პროგრამის თანახმად, ინსტიტუტი გაანალიზებს სწავლის შედეგებს და აღნიშნულის საფუძველზე უზრუნველყოფს პროგრამის გაუმჯობესებას, კერძოდ ტრენერებთან კომუნიკაციისა და პროგრამის შინაარსის ან მეთოდების შესაძლო მოდიფიცირების გზით. პროგრამის მიხედვით, პრე-პოსტ ტესტში სამიზნე მაჩვენებელზე ნაკლები პროგრესის შემთხვევაში, ტრენერთან ერთად ხდება კურსის შინაარსისა და სწავლების მეთოდების გაანალიზება და მოდიფიცირება. ინსტიტუტს აქვს პრე-პოსტ ტექსტის შედეგების ანალიზის გამოცდილება სხვა პროგრამებთან მიმართებით. თუმცა, პროგრამა არ ითვალისწინებს მონაწილეთა მიერ საბოლოო გამოცდის სახით შესრულებული წერილობითი ნამუშევრების შედეგების ანალიზს, რათა ინსტიტუტს ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა საკითხებთან დაკავშირებით აქვთ მონაწილეებს მაღალი შედეგები და რომელ კითხვებზე უჭირთ პასუხების გაცემა.

ინდიკატორები: ○ *ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული პროგრამა - შეფასების შედეგები და სამიზნე ნიშნულები (დანართი N6 და N10);* ○ *სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (დანართი N6);* ○ *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები: ○ არ საჭიროებს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, რომ ტრენერებმა ჩამოაყალიბონ ერთიანი ხედვა პრე-პოსტ ტესტის ერთგვაროვან შინაარსთან დაკავშირებით; ○ სასურველია, რომ ტრენერებმა იმსჯელონ საბოლოო გამოცდაში შეფასების სხვა ფორმების დანერგვის საჭიროებაზე; ○ სასურველია, რომ ინსტიტუტმა უზრუნველყოს საბოლოო გამოცდაში მიღებული შედეგების ანალიზი და გამოყენოს პროგრამის გასაუმჯობესებლად
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრამა ახალია.
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.10. პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლისა (საკონტაქტო საათების მიხედვით) და პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების შესაბამისად პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგის საფუძველზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სერტიფიკატი გაიცემა ორი ძირითადი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში: ▪ მონაწილის არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლის შემთხვევაში (საკონტაქტო საათების მიხედვით), თითოეული მოდულის მიხედვით. კერძოდ,

კურსის სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ ყველა მოდულის 80%-იანი დასწრების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში; ▪ ფინალური შეფასების, ტესტური გამოცდის მინიმალური ზღვარის - მაქსიმალური ქულის 75%-ის გადალახვის შემთხვევაში. მონაწილეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში გადააბაროს გამოცდა. დასწრების ზღვარის (80%) შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოხელე ვალდებულია თავიდან გაიაროს მთლიანი პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფისთვის მისასალმებელია ინსტიტუტის მიერ დაწესებული მაღალი სტანდარტი ტრენინგზე დასწრებასთან დაკავშირებით (თითოეულ მოდულში მინიმუმ 80%). იქიდან გამომდინარე, რომ თითოეულ საგანს საბოლოო გამოცდაზე ეთმობა 10 კითხვა (ჯამში 40 კითხვა), საბოლოო გამოცდის წარმატებით დასრულებისთვის საკმარისია 30 კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა. შესაბამისად, ერთი საგანში ყველა კითხვაზე არასწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში, შესაძლებელია საბოლოო გამოცდის წარმატებით ჩაბარება, თუ დანარჩენ სამ საგანში ყველა კითხვაზე სწორადაა პასუხი გაცემული. შესაბამისად, შესაძლოა უფრო მისაღები იყოს თითოეულ საგანთან მიმართებით მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაწესება.
ინდიკატორები: ○ *პროგრამის განხორციელების გეგმა (დანართი N8);* ○ *პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესი (დანართი N1, დანართი N6 და დანართი N8);* ○ *სილაბუსები (დანართი N7).*
რეკომენდაციები: ○ არ საჭიროებს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სასურველია, რომ საბოლოო გამოცდისას განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თითოეულ საგანთან მიმართებით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o პროგრამა ახალია
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
პროგრამის შინაარსი	☐	☒	☐

2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

2.1. სწავლებას ახორციელებს სათანდო კვალიფიკაციის მქონე პირი/პირები (შემდგომში – ტრენერი): ა) ტრენერს აქვს პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესაბამისი: 1) აკადემიური უმაღლესი ან მასთან გათანაბრებული განათლება, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება; და 2) ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება; ბ) ტრენერთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ან წინასწარი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები; გ) ტრენერს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, ტრენერი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებამაც შეიძლება პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა მოახდინოს აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ გასაუბრებაზე მოწოდებული ინფორმაციით, ტრენერთა შერჩევა განხორციელდა პირადი კავშირებისა (რეკომენდაციები შესაბამის დარგში ავტორიტეტული პირებისგან) და სოციალური ქსელების (LinkedIn) მეშვეობით. შესაბამისად, ინსტიტუტსა და ტრენერებს აქამდე არ ჰქონიათ თანამშრომლობის გამოცდილება. ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული ტრენერთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვერ დარწმუნდნენ 2 ტრენერთან მიმართებით სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის დოკუმენტურად დადასტურების თაობაზე, რადგან დოკუმენტურად არ იქნა სარწმუნოდ დადასტურებული ბოლო 3 წლის გამოცდილება, კერძოდ: 1. ტრენერს, შალვა გოგიძეს წარმოდგენილი ჰქონდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც იგი „...2014 – 2016 წლების განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობის ფარგლებში, პერიოდულად ატარებდა ტრენინგებს საჯარო სამსახურში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისათვის, თემაზე - „ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში““. პირადი საქმეში არ იყო სხვა ცნობა, ხოლო შალვა გოგიძის რეზიუმეში არ იყო მითითებული ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილებას.

2. ტრენერს, ეკა კაველიძეს წარმოდგენილი ჰქონდა იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც იგი „...2016 წლიდან დღემდე არის ა(ა)იპ იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის ტრენერი...“ და მან „...2016 წლის 16-20 მაისს... ჩაატარა ტრენინგები...“. აღნიშნულ ცნობაზე არ იყო მითითებული გაცემის თარიღი, შესაბამისად, ბუნდოვანია, თუ რომელი პერიოდი იგულისხმება სიტყვებში „2016 წლიდან დღემდე“. ასევე იქიდან გამომდინარე, რომ ცნობაში დაკონკრეტებულია ინფორმაცია 2016 წლის 16-20 მაისს ტრენინგების ჩატარების შესახებ და აღნიშნული პერიოდიდან დღემდე გასულია 3 წელზე მეტი, ცნობაზე თარიღის არ არსებობა, ბუნდოვანს ხდის ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილების არსებობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი სახელწოდებით „ტრენერის შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან“, სადაც ორივე ტრენერთან მიმართებით ინსტიტუტი ადასტურებს აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნასთან მათ შესაბამისობას.

ინტერვიუს დროს, ტრენერმა ლაშა გოგიძემ განმარტა, რომ საჯარო სამსახურის ბიუროში ტრენინგებს ატარებდა 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით, ხოლო მიმდინარე სამუშაო ადგილზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის პერიოდულად ატარებს საკონსულტაციო ხასიათის ტრენინგებს მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა განახლებული რეზიუმე, რომელშიც მითითებულია, რომ მიმდინარე სამუშაო ადგილზე მის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოდგენს ტრენინგების ჩატარება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, საკონსულტაციო ხასიათის ტრენინგების ჩატარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისთვის არ გულისხმობს სასწავლო კომპონენტის შესაბამისი გამოცდილების არსებობას.

ინტერვიუს დროს, ტრენერმა ეკა კაველიძემ განმარტა, რომ ცნობის გაცემის დროს დაშვებულია ტექნიკური შეცდომა დოკუმენტის გაცემის თარიღთან დაკავშირებით, ხოლო ბოლო ტრენინგი ჩაატარა მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ეკა კაველიძის მიერ წარმოდგენილი იქნა ახალი ცნობა, რომელზეც მითითებულია გაცემის თარიღი, კერძოდ, 2019 წლის 30 აგვისტო.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, უმჯობესია ინსტიტუტი ტრენერების შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან ადგენდეს შესაბამისი ცნობების საფუძველზე და არა მხოლოდ ტრენერის მიერ წარმოდგენილი რეზიუმეს (CV) საფუძველზე.

სასწავლო პროგრამისა და სილაბუსების მიხედვით, ტრენერები საგნებს უძღვებიან ინდივიდუალურად, გარდა საგნისა „ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა", რომელსაც ტრენერები ატარებენ წყვილში (ქ. ტყავაძე, ლ. მაჩაიძე), თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ტრენინგის ჩატარება ინდივიდუალურადაც. დანარჩენმა ტრენერებმა, გარდა შალვა გოგიძისა, აღნიშნეს, რომ მათთვის ამ სასწავლო პროგრამის ჩატარება წარმოადგენს პრიორიტეტს და სამუშაო გრაფიკი დაგეგმილი აქვთ ისე, რომ არ შეექმნას საფრთხე ტრენინგების შეუფერხებლად განხორციელებას. ლაშა გოგიძემ აღნიშნა, რომ მისი ძირითადი სამუშაო ადგილის სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, მას ამ სასწავლო პროგრამის ფარგლებში ტრენინგების ჩატარება შეუძლია მხოლოდ პარასკევს, შაბათსა და კვირას, ხოლო დანარჩენ დღეებში - მხოლოდ ძირითად სამუშაო ადგილზე სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, საღამოს საათებში. სასწავლო გეგმის მიხედვით საგანი „ეთიკა საჯარო სამსახურში", რომელსაც ატარებს ტრენერი შალვა გოგიძე, ტარდება ოთხშაბათსა და ხუთშაბათს. ამასთან, ინსტიტუტის ხელმძღვანელი პირების მიერ გასაუბრების დროს დაფიქსირებული იქნა მიდგომა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებს ტრენინგები ჩაუტარდებათ მხოლოდ სამუშაო საათების განმავლობაში, ხოლო სხვა საჯარო დაწესებულებებისთვის კომერციული ტრენინგების შეთავაზების შემთხვევაში, ტრენინგები უნდა ჩატარდეს არასამუშაო, საღამოს საათებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფისთვის ბუნდოვანია, როგორ შეძლებს ინსტიტუტი ტრენინგების ჩატარებას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლებისთვის ოთხშაბათსა და ხუთშაბათს სამუშაო საათების განმავლობაში მაშინ, როდესაც საგნის ერთადერთ ტრენერს შეუძლებლად მიაჩნია ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით ტრენინგების ჩატარება სამუშაო საათების განმავლობაში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან სასწავლო პროგრამის 3 საგანში ტრენინგებს ატარებს 3 ტრენერი ინდივიდუალურად, რომელთაც შემცვლელი ტრენერი არ მოეპოვებათ, ფორსმაჟორული გარემოებების (ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა) არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ტრენინგების შეუფერხებლად განხორციელებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია დროულად მოხდეს შესაბამისი

კვალიფიკაციის მქონე სხვა პირების მოძიება და გათვალისწინება შემცვლელი ტრენერის რანგში. ტრენერებთან გაფორმებულია წინასწარი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა მათში არ არის მოცემული ინფორმაცია ტრენერთა ანაზღაურების ოდენობის შესახებ (დეტალურად იხილეთ პუნქტი 2.3). წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს შედეგად, ექსპერტთა ჯგუფისთვის არ გამოკვეთილა ტრენერთა მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის დამადასტურებელი გარემოებები. თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ ტრენერთა პირად საქმეებში ერთ-ერთი ტრენერის რეზიუმე წარმოდგენილია არასახელმწიფო ენაზე, რაც ექსპერტთა აზრით არ არის მიზანშეწონილი.
ინდიკატორები: ○ *ტრენერების პირადი საქმეები (დანართი N12);* ○ *ტრენერების სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დანართი N18);* ○ *ტრენერების შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან (დანართი N13);* ○ *ტრენერებთან გაფორმებული შეთანხმებები (დანართი N19);* ○ *ინტერვიუს შედეგები.*
რეკომენდაციები: o *მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სასწავლო პროგრამის სამუშაო საათებში შეუფერხებლად ჩასატარებლად.*
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o სასურველია, რომ ტრენერთა შერჩევის დროს ინსტიტუტმა უზრუნველყოს ტრენერთა მხრიდან შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი ცნობების წარმოდგენა და ტრენერთა შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტად მხოლოდ რეზიუმეში არსებული ჩანაწერები არ იყოს მიჩნეული; o სასურველია, რომ ფორსმაჟორული გარემოებების (ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა) წარმოქმნის შემთხვევაში, ტრენინგების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ინსტიტუტმა შემცველელი ტრენერის რანგში მოიძიოს შესაბამისი კვალიფიკაციის სხვა პირები; o სასურველია, რომ ტრენერის რეზიუმე წარმოდგენილი იყოს სახელმწიფო ენაზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o პროგრამა ახალია
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები ოპტიმალურად არის განაწილებული: ა) სწავლების საკლასო მეცადინეობის მეთოდით/ ფორმით განხორციელების შემთხვევაში, ერთი ნაკადის მსმენელთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს; ბ) მსმენელის დატვირთვა არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებსაც, ხოლო თუ მსმენელი სამუშაო დღეს განთავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში – 6 საკონტაქტო საათს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, თითოეულ ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა განსაზღვრულია საშუალოდ 15 მონაწილით, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობამ შესაძლებელია შეადგინოს 20 ადამიანი. სილაბუსების მიხედვით აუდიტორია აღჭურვილი უნდა იყოს 20 მონაწილისთვის აუცილებელი რესურსით მაშინ, როდესაც პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 12 მონაწილეზე. ინსტიტუტის სარგებლობაში არსებული აუდიტორიის (ძირითადი სატრენინგო სივრცე) ვიზუალური დათვალიერებითაც აუდიტორია გათვლილია მაქსიმუმ 12 მონაწილეზე. მსმენელის დატვირთვა არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებსაც, ხოლო თუ მსმენელი სამუშაო დღეს განთავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში - 6 საკონტაქტო საათს.
ინდიკატორები:

- *ინსტიტუტის მიერ დამტკიცებული პროგრამა (დანართი N6);*
- *სილაბუსები (დანართი N7);*
- *პროგრამის ბიუჯეტი (დანართი N4);*
- *ინტერვიუს შედეგები.*

რეკომენდაციები: o არ საჭიროებს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o სასურველია, პროგრამის სილაბუსებსა და ბიუჯეტში მოცემული მსმენელთა რაოდენობა შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o პროგრამა ახალია
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. დაწესებულებას შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების დემონსტრირება: ა) არსებობს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; ბ) შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც რეალისტური და გაზომვადია; ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს; გ) ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს; დ) რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის; ე) არსებობს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფართი, სადაც დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, არსებობს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონეპირებისთვის; ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან არსებობს წერილობითი შეთანხმება, საჭიროებიდან გამომდინარე, ფართით დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.

(სასწავლო მასალები, ტრენინგის მასალები, ტრენერების ანაზღაურება) და არაპირდაპირ (ადმინისტრაციულ) ხარჯებს, ასევე ითვალისწინებს სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების მუხლს, რაც მთლიანი ბიუჯეტის 10%-ია. თუმცა, ტრენერებთან მიერ გაფორმებულ წერილობით შეთანხმებებში არ არის მითითებული ტრენერის ანაზღაურება. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს დროს, ინსტიტუტის წარმომადგენლებმა და ტრენერებმა მიუთითეს, რომ მათ შორის ზეპირი შეთანხმება არსებობს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და მითითებული იქნება შემდეგ გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. ინსტიტუტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ წინასწარ შეთანხმებებში ანაზღაურების მითითება ტრენერების მიმართ ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას გამოიწვევდა და მათ უკვე ინსტიტუტის დასაქმებულ პერსონალად აქცევდა. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს ამ მოსაზრებას და მიაჩნია, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ ტრენერებთან გაფორმებულ წერილობით შეთანხმებებში მითითებული იყოს ტრენერის ანაზღაურება.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში, ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის პირველადი სამიზნე ჯგუფი საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წარმომადგენლები არიან, რომლებიც სასწავლო პროგრამას უსასყიდლოდ მიიღებენ. თუმცა, ინსტიტუტი ასევე აპირებს, რომ პროგრამა კომერციული მიზნებით მიაწოდოს სხვა საჯარო დაწესებულებებს. პროგრამის ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მიუთითეს,.. რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მათ მიერ მიწოდებული მომსახურება არ საჭიროებს ტენდერის გზით შესყიდვას და საჯარო დაწესებულებებს შეუძლიათ მათგან პროფესიული პროგრამების გამარტივებული წესით შესყიდვა განახორციელონ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს რეგულირება ინსტიტუტის მხრიდან ტენდერებში მონაწილეობის სურვილსა და საჭიროებას შესაძლოა მნიშვნელოვნად ამცირებდეს. თუმცა, ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებების მიერ გამოცხადებულ ტენდერებშიც მიიღებენ მონაწილეობას. პროგრამის ადმინისტრაციული პერსონალს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები ტრენინგის ადმინისტრირების ციკლის მიხედვით, რაც შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი სხვა ტრენინგების დაგეგმვაშიც იღებენ მონაწილეობას, თუმცა მიიჩნევენ, რომ დამატებითი ფუნქციების განხორციელება შეუფერხებლად შეუძლიათ. გარდა ამისა,

ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ დამატებითი პერსონალი აიყვანონ, რადგან ადმინისტრაციული პერსონალის 2 ვაკანტური პოზიცია აქვთ. გარდა ამისა, ინსტიტუტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირს სერტიფიცირებისა და ტრენინგების განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობა 2019 წლის 21 ივნისიდან დროებით აქვს დაკისრებული. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს დროს, ინსტიტუტის მმართველი რგოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ პოზიციაზე უახლოეს მომავალში გამოცხადდება კონკურსი.

პროგრამის თვითშეფასების წარდგენის პერიოდისათვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად გამოცხადებული ჰქონდა ტენდერი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროისათვის, ტენდერი უკვე დასრულებული იყო, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს განხორციელებული ჰქონდა შესყიდვა და ვიზუალური დათვალიერებისას დადასტურდა, რომ განმახორციელებელი კომპანიის მიერ სამუშაოების უმეტესი ნაწილი დასრულებულია. შენობას აქვს შშმ პირებისათვის გამოყოფილი პარკირების ადგილები, აქვს სპეციალური ადაპტირებული საპირფარეშო და შენობაში არ არის ბარიერები, რაც შშმ პირებს გადაადგილებაში ხელს შეუშლის. გარდა ამისა, ინსტიტუტის მიერ ტრენინგის შემუშავებისა და განვითარების პროცედურაში (8.14 პუნქტი) გაწერილია შშმ პირისათვის ადაპტირებული სასწავლო პროგრამის შემუშავების წესი. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს დროს ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ დროისთვის ადაპტირებული სასწავლო პროგრამა არ აქვთ შემუშავებული, თუმცა მიუთითეს, რომ ტრენინგის პროცესში მსგავსი საჭიროების წარმოშობისას, ისინი მზად არიან, რომ შესაბამისი სერვისის მიწოდება უზრუნველყონ.

ინდიკატორები:

- *მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (დანართი N14);*
- *სახანძრო უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები და საევაკუაციო გეგმა (დანართი N15);*
- *სატენდერო დოკუმენტაცია შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შესახებ (დანართი N16);*
- *შენობის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ თანხმობის წერილი (დანართი N17);*
- *პროგრამის ბიუჯეტი (დანართი N4);*
- *ტრენერებთან გაფორმებული წინასწარი შეთანხმებები (დანართი N19);*
- *ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები (დანართი N20);*

- *საშტატო ნუსხა (დანართი N21);*
- *სტრუქტურა (დანართი N22);*
- *შშმ პირებისათვის ადაპტირებული პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია (დანართი N1);*
- *ინტერვიუს შედეგები;*
- *ინსტიტუტის ვიზუალური დათვალიერება.*

რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ ტრენერებთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებებში მითითებული იყოს ტრენერის ანაზღაურება.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასება ითვალისწინებს უკუკავშირს ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ადგენს სამიზნე ნიშნულებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თანახმად, უკუკავშირის კითხვარში გამოყოფილია ტრენინგის ორგანიზების/სერვისის მიწოდების კომპონენტი, სადაც მონაწილეები აფასებენ: როგორ იყო ტრენინგი ორგანიზებული; რამდენად კმაყოფილები არიან სასწავლო პირობებით (მატერიალურ ტექნიკური ბაზა, აუდიტორია და ა.შ); ადმინისტრაციის დამოკიდებულებისა და მომსახურების შეფასება. უკუკავშირის კითხვარის შედეგები ითვლება NPS მეთოდოლოგიით და დადგენილია ზღვრები რა ნიშნულზე ახდენს

ინსტიტუტი რეაგირებას კონკრეტული კომპონენტის გასაუმჯობესებლად. შეფასების მეთოდოლოგია გაწერილია ტრენინგების/სერტიფიცირების დაგეგმვისა და განვითარების პროცედურაში.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, უკუკავშირის კითხვარი საჭიროებს გაუმჯობესებას, მათ შორის ადამიანურ და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ რესურსის შეფასებასთან მიმართებით, რაც დეტალურად განხილულია დასკვნის 1.8 პუნქტში. პროგრამის მიხედვით, მსმენელთა შეფასების ფორმები მუშავდება და მათი შედეგების გამოყენება ხდება პროგრამის გასაუმჯობესებლად. უკუკავშირის კითხვარში ნებისმიერი კომპონენტის დამაკმაყოფილებელი და წარუმატებელი შედეგის დადგომისას ხდება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, ინსტიტუტს პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია ტრენინგის შეფასების ანალიზის კუთხით, რაც გულისხმობს უკუკავშირის შედეგების ანალიზს და ტრენერთან ინტერვიუს დანიშვნას წარუმატებელი კომპონენტების განსახილველად. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულის წარმატებულ მაგალითად მითითებულია ინსტიტუტის სერტიფიცირების პროგრამის ეფექტიანობის აუდიტის მოდული, სადაც ტრენერებთან ერთად დაგეგმილი გაუმჯობესების ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვანი პროგრესი მიიღეს. ექპერტებთან ინტერვიუს დროს, სერტიფიცირებისა და ტრენინგების განვითარების სამსახურის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ტრენინგების შეფასებისა და უკუკავშირის კითხვების ანალიზი არის მათ მიერ ინსტიტუტის ხელმძღვანელისათვის წარდგენილი ყოველკვარტალური ანგარიშის ნაწილი.

ინდიკატორები:

- *ტრენინგების/სერტიფიცირების დაგეგმვისა და განვითარების პროცედურა (დანართი N1);*
- *პროგრამის განხორციელების გეგმა (დანართი N8);*
- *უკუკავშირის ფორმა (დანართი N11);*
- *ინტერვიუს შედეგები.*

რეკომენდაციები:

- *მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეიცვალოს შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა შეფასების ფორმაში ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით უკუკავშირი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი.*

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არ საჭიროებს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o პროგრამა ახალია
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	☐	☒	☐